საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

მიგრანტი

№15 / 2016

უფასო სასწავლო გრანტები მიგრანტებისათვის

სოფიკო ნაკაშიძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ განათლების მეთოდისტი

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“.
პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მცირე სასწავლო გრანტის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისათვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების დასაუფლებლად გაიცემა უფასო გრანტები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ განათლების მეთოდისტი სოფიკო ნაკაშიძე:

მეორე წელია, რაც პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ მიმდინარეობს. ამ დროისათვის უკვე გადამზადებულია 37 ბენეფიციარი რამდენიმე მიმართულებით (მზარეული, ელექტრიკოსი, სტილისტი, კონდიტერი, ბუღალტერი, ოფისის მენეჯერი), 19 ბენეფიციარი კი, გადის გადამზადების კურსებს (ელექტრიკოსი, მზარეული, სტილისტი).

მიმდინარე პროექტის ფარგლებში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის დროსაც გამოიკვეთა დაახლოებით 20 მოთხოვნადი სპეციალობა. ჩვენს ბენეფიციარებს სწორედ ამ სპეციალობებს ვთავაზობთ და 100%-ით ვაფინანსებთ.

ამ ეტაპზე რამდენიმე ჯგუფი ემზადება სწავლის დასანყებად. მათ შორისაა მზარეულების, კონდიტერების, ოფისის მენეჯერების, შემდულებლების, ამწისა და მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების ნაწილი უკვე დასაქმდა პროფესიული გადამზადების კურსების გაელის შემდეგ. ზოგიერთი მათგანი, თვითდასაქმებულია. განსაკუთრებით ხაზი მინდა გავუსვა პედაგოგების აქტიურ ჩართულობას სტუდენტთა დასაქმების კუთხით, მათი რეკომენდაციის საფუძველზე რამდენიმე ბენეფიციარი უკვე დასაქმდა.

რამდენიმე კურსდამთავრებული მცირე ბიზნესგრანტის მოპოვებასაც ცდილობს, რომელიც ამავე პროექტის ფარგლებში გაიცემა.

პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა 50%-ში ხანდაზმულები (ასაკოვანი ადამიანები), 45-60 წლის ასაკის ქალები მოიაზრება (გაეროს კლასიფიკაციის მიხედვით).

ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ ქალბატონების, განსაკუთრებით კი ასაკოვანი ქალბატონების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას, რათა სამომავლოდ გაუადვილდეთ დასაქმება.

– როგორ უკავშირდებით შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტებს?

– ბენეფიციარების მოძიება, ძირითადად, გასვლითი ღონისძიებების მეშვეობით ხდება. ვატარებთ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს ეკომიგრანტთა სტიქიური ჩასახლების ადგილებში: ბენზეს სოციალური სახლი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, სადაც დასახლებულია ნაწილი ეკომიგრანტებისა, 25-ე და 53-ე ბატალიონები (ე.წ. „ოცნების ქალაქი“), ჩაქვის სოციალური სახლი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში კარგად მუშაობს ჩვენი კოორდინატორი ნატა მიქელაძე.

– ვის შეუძლია ისარგებლოს უფასო სასწავლო გრანტების პროგრამით, როგორ ხდება საბუთების მიღება?

– პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ჩვენი დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (არის შრომითი ან ეკომიგრანტი), უნდა შეავსოს განაცხადის სპეციალური ფორმა, წარმოადგინოს პასპორტის ან პირადობის ქსეროასლი, ეკომიგრანტის შემთხვევაში – ცნობა სტიქიით დაზარალებულის შესახებ; შრომითი მიგრანტის შემთხვევაში – ცნობა საპატრულოდან საზღვრის კვეთის შესახებ.

– რამდენ საათს მოიცავს სწავლების კურსი?

– პროფესიული გადამზადების კურსები 250-დან 350 საათამდე მერყეობს, საათობრივი დატვირთვა დამოკიდებულია კონკრეტულ სპეციალობაზე. ჩვენი ბენეფიციარები სასნავლო კურსებს გადიან ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში – „ახალი ტალღა“ და ბათუმის პროფესიულ კოლეჯში – „ბლექსი“.

პროფესიული გადამზადების კურსის გავლა შეუძლიათ მხოლოდ ქ. ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტებს.

– რას ურჩევდით აჭარაში მცხოვრებ შრომით და ეკოლოგიურ მიგრანტებს?

– აღნიშნული პროექტი მომავალი წლის ივნისში დასრულდება, სწორედ ამიტომ, მინდა მოვუწოდო ყველა იმ ადამიანს, ვინც არის შრომითი ან ეკოლოგიური მიგრანტი, გამოიყენონ ეს შანსი და მიიღონ პროფესიული განათლება, რადგან ჩვენს რეალობას თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ მომსახურების სფეროში პროფესიონალი კადრების დეფიციტია. ამ ხარვეზის ამოვსება კი კონკრეტულ პოზიციაზე მოთხოვნის შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრის მომზადებით არის შესაძლებელი და ის პროფესიული განათლების მეშვეობით მიიღწევა.

* * *

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიის სწავლის კურსს ამ ეტაპისთვის 19 ბენეფიციარი გადის. მზარეულთა ჯგუფის ბენეფიციარების სწავლით კმაყოფილი მანანა გაგუა (პედაგოგი, „ახალი ტალღა“) დასაქმებულ სტუდენტებზე საუბრობს:

„უკვე ორი თვეა ჩვენს კოლეჯში მზარეულის პროფესიას 6 ბენეფიციარი ეუფლება, მათ თეორიული კურსი თითქმის ამოწურეს და პრაქტიკულ კურსს გადიან. სწავლის პარალელურად მუშაობენ ქობულეთის კაფეებსა და რესტორნებში, შეფ მზარეულად. საზოგადოებრივი კოლეჯი კურსდამთავრებულების დასაქმებაზე ყოველთვის ზრუნავს, ცდილობს ყველა სტუდენტი შეძლებისდაგვარად დაასაქმოს. სწორედ ჩვენი რეკომენდაციით დასაქმდნენ მზარეულის კურსის სტუდენტები ზაირა და დარეჯანი.

აჭარაში მცხოვრები მიგრანტებისათვის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ შემუშავებულ 3-თვიან სწავლების კურსში შედის როგორც თეორიული ლექციები, ასევე პრაქტიკული სამუშაოები. მზარეულის პროფესიის ბენეფიციარები სწავლობენ ცივი და ცხელი კერძების, წვნიანის მომზადებას, ასევე მარტივი ნამცხვრებისა და ხაჭაპურის გამოცხობას. სწავლისას ვითვალისწინებთ თანამედროვეობას, კერძის „მოდურად“ გაფორმებასა და მირთმევას. გვაქვს თანამედროვე კლას-კაბინეტი, სადაც პროექტორით ფართო ეკრანზე სტუდენტები განიხილავენ თეორიულ რეცეპტებს და შემდგომ პრაქტიკულ მეცადინეობაში იყენებენ.

ექვსივე ბენეფიციარი ძალიან კარგია, გული მწყდება, რომ რამდენიმე კვირაში დაამთავრებენ. მაგრამ სწავლის სურვილი კიდევ ბევრ მიგრანტს აქვს, რომლებიც მოგვმართავენ და მალე შედგება შემდეგი ჯგუფი.“

მანანა გაგუა, პედაგოგი, „ახალი ტალღა“

P.S პროექტ „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში პროფესიული სწავლის პროგრამას გაიცემა სულ 100 ბენეფიციარი, მათ შორის 50% იქნება ქალი. პროგრამის მიზანია აჭარაში მცხოვრებ მიგრანტებს ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. მათთვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის შექმნის დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

ნარმატებული ბენეფიციარი

მზარეული დარეჯან ქათამაძე

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ მზარეულის პროფესიის სწავლის კურსს 6 ბენეფიციარი გადის. ჯგუფიდან 2 უკვე დასაქმდა, ერთ-ერთი 49 წლის შრომითი მიგრანტი დარეჯან ქათამაძეა.

დარეჯან ქათამაძე ოჯახის დასახმარებლად მეზობელ სახელმწიფოში სამკერვალო ფაბრიკაში სამუშაოდ ყოველ სამ-სამ თვეში დადიოდა, ბოლოს იქესი თვეც გაჩერდა. თავდაუზოგავად ცდილობდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ როცა მიხვდა, რომ უცხოეთში მუშაობით არაფერი იცვლებოდა, საქართველოში დაბრუნდა და გამოსავლის ძებნა დაიწყო.

დარეჯან ქათამაძე

„ჩამოსვლისთანავე გავიგე, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში შესაძლებელი იყო უფასოდ მიმეღო განათლება ჩემთვის საინტერესო პროფესიაში. დავუკავშირდი ქალბატონ მანანა გაგუას (საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის“ პედაგოგი), მისი დახმარებით ჩავერთე „ინტელექტის“ პროექტში და 19 ივლისს მზარეულის სპეციალობით დავიწყე სწავლა. პროფესიულმა გადამზადებამ მომცა შესაძლებლობა დასაქმებაზე მეფიქრა და ისევ ქალბატონ მანანა გაგუას და სასნავლებლის რეკომენდაციით უკვე ვმუშაობ, შეფ მზარეულის პოზიციაზე კაფე „OK“-ში, სადაც დღიურად 50 ლარს მიხდიან. მაქვს სურვილი და სამომავლოდ ვგეგმავ საკუთარი სწრაფი კვების ან ცხელი კერძების პატარა კაფე გავხსნა.

ძალიან კმაყოფილი ვარ.

მინდა, ყველა უცხოეთში წასულ მიგრანტ დისასხლისს მოვუნოდო, რომ დაბრუნდნენ საქართველოში, ჩაერთონ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, შეიძინონ პროფესია და აქ დასაქმდნენ.“

P.S ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ დარეჯან ქათამაძეს წარმატებებს უსურვებს!

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის №18
ტელ: 24 16 40; **ფაქსი:** 24 16 50; **მობ:** 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge;
ვებგვერდი: www.intellect.org.ge